საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომსახურების თარიღი: 815065394, 25/03/2015 14:14:35

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ევროპული სკოლა
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	205172517
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	01/09/2006
მარეგისტრირებელი ორგანო:	თბილისის საგადასახადო ინსპექცია
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ., №34გ
დამატებითი ინფორმაცია:	
სხვა მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გამოფხვლის ქ., №14
ელ. ფოსტა:	posta@gis.ge

დამატებით ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მიმწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 35001001875, ნინო მოისიძე

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
35001001875, ნანა მოსიძე	0.00200000%	
205138493, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი	99.99600000%	
22001001222, სვეტლანა ლამბრიანოვა-ხეცუაშვილი, საბერძნეთი, საქართველო	0.00200000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთებზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან მოგვწერეთ ჩვენს ვებ-გვერდზე
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხზე გამოგვეხმიანეთ ელ-ფოსტაზე: info@napr.gov.ge

KA021716546438214

საჯელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, გ.ჭანტურიას ქ.12

12 G.Chanturia Str.,0108 Tbilisi,Georgia

N4/36111

29 / სექტემბერი / 2014 წ.

შპს 'ევროპული სკოლა'
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ.N34ა

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა (უფლებამონაცვლე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) (შემდგომში – სააგენტო) და შპს "სწავლების ინოვაციური მეთოდების სკოლა-ლაბორატორია მზეს" (ამჟამად - შპს „ევროპული სკოლა") შორის 2006 წლის 4 დეკემბერს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება (შემდგომში – ხელშეკრულება), რომლის თანახმად, პირობადებულ საკუთრებაში გადმოგეცათ ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. N 34ა-ში მდებარე 4329 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (ყოფილი 101-ე საშუალო სკოლა) და მასზე დამაგრებული 6510 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

ხელშეკრულების 2.1 მუხლის თანახმად, თქვენ იკისრეთ შემდეგი ვალდებულებები:

ა) შეინარჩუნოთ საგანმანათლებლო პროფილი ათი წლის განმავლობაში;
ბ)წლიური სახელფასო ფონდი განისაზღვროს არანაკლებ 200 000 (ორასი ათასი) ლარით;
გ)თანამშრომლების რაოდენობა განისაზღვროს მინიმუმ 80 ადამიანით.

გაცნობებთ, რომ „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის N360 დადგენილების N1 დანართის თანახმად, პრივატიზების განმახორციელებელი ორგანო უფლებამოსილია, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო ქონების შემძენ/მმართველ /მოსარგებლე პირებს მოსთხოვოს ექსპერტიზის ან/და აუდიტის ჩატარების მიზნით მიმართონ ქვემოთ ჩამოთვლილ პირებს:

ა) სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის
ეროვნულ ბიურო;

ბ) ფრაისვოთერჰაუსკუპერ (pricewaterhouseCoopers);

გ) დელოიტი (Deloitte);

დ) ქეი-ფი-ემ-ჯი (KPMG);

ე) ერნსტ ენდ იანგ (Ernst & young);

ვ) გრანთ თორნთონ (Grant Thornton);

ზ) ბიდიო (BDO);

თ) ბეიკერ ტილი (Baker Tilly);

ი) სმით ენდ ვილიამსონ (Smith &Williamson);

კ) პი-ქეი- ეფ (PKF);

ლ) შპს „კაპტო ჯგუფი“ (RSM-ის წევრი);

მ) შპს „აუდიტორული და საკონსულტაციო სამსახური ემჯიაი ჯორჯია“

(MGI);

ნ) შპს „ფინანსური მართვის ჯგუფი“ (FMG);

ო) შპს „ცოდნისა”

აღნიშნულის გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით, წინამდებარე კორესპონდენციის ჩაბარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, სააგენტოში წარმოადგინოთ ზემოაღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული ერთ-ერთი პირის მიერ მომზადებული საქსპერტო/აუდიტორული დასკვნა, ხელშეკრულების 2.1 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან დღემდე.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ხელშეკრულების 2.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახამად, მყიდველი ვალდებულია დაიცვას კონკურსის პირობებით ნაკისრი ვალდებულებები და მათ შესრულებაზე ყოველ ექვს თვეში წარუდგინოს გამყიდველს ინფორმაცია. შეგახსენებთ, რომ თქვენს მიერ ხსენებული მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების თაობაზე, წარმოდგენილია 2012 წლის 27 თებერვალს N8608/12 წერილით, რაც იმას ნიშნავს, რომ შპს „ევროპული სკოლის“ მიერ მომდევნო ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო, ბოლო ინფორმაციის წარმოდგენიდან (27.02.2012 წლიდან), მომდევნო 6 (ექვსი) თვის გასვლის დღემდე (27.08.2012 წლამდე). იმის გათვალისწინებით, რომ თქვენს მიერ 27.02.2012 წლის შემდეგ, არ მომხდარა ხელშეკრულების 2.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა, გაცნობებთ, რომ მყიდველის მიერ ხელშეკრულების 2.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება დარღვეულია.

ამასთან, ხელშეკრულების 3.3 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მყიდველს გამყიდველთან შეთანხების გარეშე არ აქვს უფლება კონკურსის ფორმით გადაცემული ქონება განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვრთოს. როგორც სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 7 ოქტომბრის ამონაწერით ირკვევა (ამონაწერის მომზადების თარიღი 07/10/2013), 2011 წლის 1 ივლისს თქვენთვის გადმოცემული ქონება დატვირთულია იპოთეკით (უფლების რეგისტრაციის თარიღი 07/07/2011წ), რაც იმას ნიშნავს, რომ მყიდველის მიერ დარღვეულია ხელშეკრულების 3.3 მუხლით განსაზღვრული ვალდებულება. აქვე შეგახსენებთ, რომ ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა განიხილება ხელშეკრულების მოშლის საფუძვლად, რა დროსაც მყიდველს არ უბრუნდება გადახდილი თანხა და არ აუნაზღაურდება მის მიერ გაწეული ხარჯები.

აქვე გაცნობებთ, რომ "სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 3^1 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უძრავი ნივთის პრივატიზებისას, პრივატიზების განმახორციელებელსა და მყიდველს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, საჯარო რეესტრში ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების რეგისტრაციის საფუძველია. შესაბამისად, სააგენტომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიმართა საჯარო რეესტრს თქვენთვის გადმოცემულ უძრავ ქონებაზე შესაბამისი ვალდებულებების რეგისტრაციის მიზნით.

პატივისცემით,

დიმიტრი შანიძე

იურიდიული დეპარტამენტის სახელშეკრულებო
ვალდებულებათა მონიტორინგის სამსახურის
უფროსი

სანოტარო აქტი

რეგისტრირებულია რეესტრში: 4-12648

ორიათას ექვსი წლის ოთხ დეკემბერს მე ქ. თბილისის ნოტარიუს ციური ბერიძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.№68, პირველ სართულზე, მომმართეს: თეა ბასიაშვილმა და ივანე იოსელიანმა. თეა ბასიაშვილმა განაცხადა, რომ იგი წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის პრივატიზების სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსს, მოქმედებს სამინისტროს სახელით და შესაბამისი მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სურს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების ქ. თბილისში ალ. ყაზბეგის გამზ. №34ა-ში მდებარე (ყოფილი 101-ე საშ. სკოლა) 4329კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართზე და მასზე დამაგრებულ მიწის ნაკვეთზე (6510 კვ.მ.) ნასყიდობის ხელშეკრულების დადება, ხოლო ივანე იოსელიანმა განაცხადა, რომ იგი წარმოადგენს შპს „სწავლების ინოვაციური მეთოდების სკოლა-ლაბორატორია მზეს" უფლებამოსილ პირს და სურს საზოგადოების სახელით ზემოხსენებული ქონების შეძენა და ნასყიდობის ხელშეკრულების შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პიროვნება და დავრწმუნდი რომ მე ნამდვილად ივანე იოსელიანმა (დაბადებული 1973 წლის 17.05. თბილისში. მცხოვრები თბილისი, ვაზისუბნის I მკ/რ, მე-14 კორპ. ბ 120; პირადობის მოწმობა №g0203740, პირადი №01012015603 გაცემული ისნის რ-ნის შს სამმ. I ქვეგანყოფილების მიერ 17.09.98წ.) და თეა ბასიაშვილმა (დაბადებულმა 28.09.1978წ. ქ. თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისში, გლდანის მასივი VIII მკ. VI კორპ. პირადი №01002002000, პირადობის მოწმობა №g0745738, გაცემული 22.08.2005წ. გლდანის სმრ სამსახურის მიერ), მომმართეს. მე შევამოწმე თეა ბასიაშვილის უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, თანახმად მინდობილობისა, რომელიც გაცემულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ 2006 წლის 25 სექტემბერს რეგისტრაციის ნომერი №21/724. მე შევამოწმე ივანე იოსელიანის უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს „სწავლების ინოვაციური მეთოდების სკოლა-ლაბორატორია მზე" საზოგადოების დირექტორის ნანა მოსიძის მიერ 2006 წლის 6 სექტემბერს გაცემული მინდობილობისა (დამოწმებულია ნოტარიუს ეკატერინე გვანცელაძის მიერ რეესტრში რეგისტრაციის №1-5651). მე შევამოწმე მხარეთა ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

მე დავადგინე გარიგების შინაარსი და მხარეებს განვუმარტე: ქონების შემძენი საკუთრების უფლებას იძენს საჯარო რეესტრში შემძენის რეგისტრაციით, რისთვისაც აუცილებელია საჯარო რეესტრს წარედგინოს წინამდებარე ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი, "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" კანონის შესაბამისად გაცემული საკურების დამადასტურებელი მოწმობა. ნასყიდობის ფასის შემცირება გადასახადის ოდენობის შემცირების მიზნით ისჯება ჯარიმით საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით. თუ ამ ხელშეკრულებით იფარება სხვა გარიგება, მაშინ დავის შემთხვევაში გამოიყენება დაფარული გარიგების წესები. იმ შემთხვევაში თუ მხარეები ამცირებენ ნასყიდობის ფასს, დავისას მოსარჩელე მხარემ

ენდა დაამტკიცოს ფასის შემცირების ფაქტი. ამ განმარტების შემდეგ მე შევადგინე ნასყიდობის ხელშეკრულების პროექტი, რომელიც წავუკითხე მხარეებს. მათ განაცხადეს, რომ სურთ ხელშეკრულების დადება სწორედ იმ პირობებით, რაც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში; შემდეგ მხარეებმა წაიკითხეს წინამდებარე ხელშეკრულება და ჩემი თანდასწრებით მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას.
გადახდილია სახელმწიფო ''სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოს შესახებ'' კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად: 200+36 ლარ 236 ლ

თანდართული დოკუმენტაცია: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2006 წლის 25 სექტემბრის №21/724 მინდობილობა გაცემული თ. ბასიაშვილის სახელზე;

29.11.2006წ. გაცემული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; უფლების რეგისტრაციის №46321/2006 - 02.08.2006. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №1/14/3/42/128. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 30.11.06. გაცემული ცნობა ყადაღის არარსებობის შესახებ №ყად 12488. შპს ,,სწავლების ინოვაციური მეთოდების სკოლა-ლაბორატორია მზის'' 01.11.06წ. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

ნ ა ს ყ ი დ ო ბ ი ს ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქ. თბილისი 2006.წ. ''4'' ''დეკემბერი''

ჩვენ, ერთის მხრივ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო (შემდგომში ''გამყიდველი''), იურიდიული დეპარტამენტის პრივატიზების სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის თეა ბასიაშვილის სახით, მოქმედი სამინისტროს 2006 წლის 25 სექტემბრის №21/724 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და მეორეს მხრივ, შპს ,,სწავლების ინოვაციური მეთოდების სკოლა-ლაბორატორია მზე'' (შემდგომში ''მყიდველი''), წარმოდგენილი უფლებამოსილი პირის ივანე იოსელიანის სახით ვხელმძღვანელობთ რა, ''სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ'' საქართველოს კანონით, ''სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით პრივატიზების შესახებ'' დებულებით და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 11.09.06წ. №1-1/9.36 ბრძანებით, წინამდებარე ხელშეკრულებას ვდებთ შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ''გამყიდველი'' მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე გადასცემს, ხოლო ''მყიდველი'' პირობადებულ საკუთრებაში იღებს ქ. თბილისში ალ. ყაზბეგის გამზ. №34ა-ში მდებარე (ყოფილი 101-ე საშ. სკოლა) 4329კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართს და მასზე დამაგრებულ მიწის ნაკვეთს (6510 კვ.მ.) – შემდგომში ,,ქონება''.

1.2. ,,ქონების'' გამოსასყიდი ღირებულება შეადგენს 810 810 (რვაასათი ათას რვაასათი) აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში.

მუხლი 2. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

2.1 ''მყიდველი'' ვალდებულია შეასრულოს შემდეგი საკონკურსო პირობები:
ა) ,,ქონების'' გამოსასყიდი ღირებულება გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში;
ბ) შეინარჩუნოს საგანმანათლებლო პროფილი 10 (ათი) წლის განმავლობაში.;
გ) სახელფასო ფონდი წლიური არანაკლებ 200 000 ლარი.
დ) თანამშრომლების რაოდენობა მინიმუმ 80 ადამიანი.
ე) დაიცვას კონკურსის პირობებით ნაკისრი ვალდებულებები და მათ შესრულებაზე ყოველ 6 (ექვს) თვეში ინფორმაცია წარუდგინოს ''გამყიდველს''.
2.2. ''გამყიდველი'' ვალდებულია ''მყიდველის'' მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო თანხების სრულად დაფარვის შემდეგ დაუდასტუროს საკუთრების უფლება, მის მიერ გამოსყიდულ ქონებაზე.

მუხლი 3. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები

3.1 სახელმწიფო ქონებაზე ''მყიდველის'' საკუთრების უფლება გადაეცემა სახელმწიფო ქონების გასაყიდი ფასის სრულად დაფარვის შემდგომ, შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის მომენტიდან.
3.2 ხელშეკრულების 2.1. მუხლის შეუსრულებლობა ''გამყიდველისათვის'' ''მყიდველის'' მიმართ წინასწარი შეტყობინების გარეშე ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძველს (პირობას) წარმოადგენს.
3.3. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ,,მყიდველს'' ,,გამყიდველთან'' შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება კონკურსის ფორმით გაცემული ქონება განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს.
3.4. ხელშეკრულებას თან ერთვის მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

მუხლი 4. სანქციები

''მყიდველები'', წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და საკონკურსო პირობების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში, იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების აუცილებელი ვადა და ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ჯარიმდება დარჩენილი გადაუხდელი თანხის და/ან დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1%-ით. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობა და დაწესებულ ვადაში ჯარიმის ვადაუხდელობა განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის ინიციატივად ''გამყიდველის'' მიერ, ''მყიდველს'' არ უბრუნდება გადახდილი თანხა და არ უნაზღაურდება მის მიერ გაწეული დანახარჯები.

მუხლი 5. სხვა დებულებანი

5.1. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. მუხლის შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველს არ უბრუნდება გადახდილი თანხები და დანახარჯები.

5.1 დასაშვებია მხარეთა დამატებითი შეთანხმებები, ასეთ შემთხვევაში შეთანხმება ფორმდება წერილობითი ფორმით.

5.2 მყიდველის მიერ გადახდილი "ბ" ჩაითვლება ანგარიშსწორებისას.

5.3 ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სადავო საკითხები განიხილება მოქმედი კანონმდებლობით.

5.4. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დადასტურების მომენტიდან. სანოტარო წესით დამოწმებისათვის საჭირო ხარჯები იფარება „მყიდველების" მიერ.

5.5. ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი და ქონებრივი შედეგები განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით.

5.6. ხელშეკრულება შედგენილია 5 ეგზემპლარად და თითეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

"გამყიდველი"	"მყიდველი"
საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო	შპს „სწავლების ინოვაციური მეთოდების სკოლა-ლაბორატორია მზე"
ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ.№12	
ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ვაკე-საბურთალო) 200122900	ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №14ა
ეროვნული ბანკი 220101107	
სახაზინო კოდი 300043[illegible]	
თეა ბასიაშვილი	ივანე იოსელიანი

ქ. თბილისის ნოტარიუსი: გ. ბერიძე

მ ი ღ ე ბ ა – ჩ ა ბ ა რ ე ბ ი ს

ა ქ ტ ი

ერთის მხრივ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, წარმომადგენელი პრივატიზების დეპარტამენტის, პრივატიზების ორგანიზების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი – ელგუჯა თირქია და მეორეს მხრივ, შპს „სწავლების ინოვაციური მეთოდების სკოლა-ლაბორატორია მზის“-ს უფლებამოსილიპირი – ივანე იოსელიანი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 11.09.06წ. №1-1/936 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე ვაფორმებთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ პირველი მხარე გადასცემს, ხოლო მეორე მხარე იბარებს ქ. თბილისში ვაკე-საბურთალოს რაიონში ალ. ყაზბეგის გამზ.№34ა-ში მდებარე (ყოფილი 101-ე საშ. სკოლა) 4329 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი და მასზე დამაგრებული 6510 კვ.მ. მიწის ნაკვეთი საერთო ღირებულებით 810810 (რვაასათი ათას რვაასათი) აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ლარებში.

გადამცემი: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი ელგუჯა თირქია

მიმღები: შ.პ.ს. „სწავლების ინოვაციური მათოდების სკოლა-ლაბორატორია მზის“ უფლებამოსილიპირი ივანე იოსელიანი

შპს ევროპული სკოლა

ანგარიში შეთანხმებული პროცედურების შესახებ
2006 წლის 4 დეკემბრიდან 2014 წლის 30 სექტემბერს
დასრულებული პერიოდისათვის

03/ 03-11-2014

BDO

ტელ: +995 32 254 58 45
ფაქსი: +995 32 239 92 04
bdo@bdo.ge
www.bdo.ge

ი.ჭავჭავაძის გამზირი 34
პაქსელ ცენტრი, მე-8 სართული
0179 თბილისი
საქართველო

ფაქტიური შედეგების ანგარიში

შპს „ევროპული სკოლის“ ხელმძღვანელობას:

ჩვენ ჩავატარეთ თქვენთან შეთანხმებული, ქვემოთ მოცემული, პროცედურები 2006 წლის 4 დეკემბრიდან 2014 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან (ყოფილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო) 2006 წლის 4 დეკემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშერულებით გათვალისწინებული საკონკურსო პირობების დაცვასთან დაკავშირებით, რაც განსაზღვრულია № ა-067/14 შეთანხმებული პროცედურების შესახებ გარიგების წერილით. ჩვენი გარიგება წარიმართა დაკავშირებული მომსახურებების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, რომელიც შეესაბამება შეთანხმებულ პროცედურებთან დაკავშირებულ გარიგებებს.

პროცედურები ჩატარდა ერთის მხრივ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მეორეს მხრივ შპს „ევროპულ სკოლას“ (შემდგომში „სკოლა“) შორის 2006 წლის 4 დეკემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების 2.1 პუნქტის (ბ) (გ) და (დ) ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დოკუმენტური შემოწმებისთვის და მოიცავდა:

- საგანმანათლებლო პროფილის შენარჩუნება 2007 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდში;
- 2007 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდზე წლიური სახელფასო ფონდი არანაკლებ 200,000 ლარი;
- 2007 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდზე თანამშრომელთა რაოდენობა მინიმუმ 80 ადამიანი.

პროცედურა 1: საგანმანათლებლო პროფილის შენარჩუნება

განათლების სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიის ან ექვივალენტური დოკუმენტის საფუძველზე 2006 წლის 4 დეკემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების (საგანმანათლებლო პროფილის შენარჩუნება) შესრულების შემოწმება.

პროცედურა 2: წლიური სახელფასო ფონდი

2007 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდში სახელფასო უწყისების, ხელფასის დარიცხვის და გაცემის დოკუმენტაციის, ასევე საბანკო ანგარიშებიდან ამონაწერის საფუძველზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან 2006 წლის 4 დეკემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების (მინიმალური წლიური სახელფასო ფონდი) შესრულების შემოწმება.

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაეროთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის - "ბიდიო ინტერნეიშენალ ლიმიტედის" ნეტის და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

პროცედურა 3: თანამშრომელთა მინიმალური რაოდენობა

2007 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდში სახელფასო უწყისების, შრომითი ხელშეკრულებებისა და თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანებების საფუძველზე თანამშრომელთა რაოდენობის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან 2006 წლის 4 დეკემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებასთან (თანამშრომელთა მინიმალური რაოდენობა) დადარება.

ჩატარებული სამუშაოს შედეგებია:

პროცედურა 1

ჩვენ სკოლის მენეჯმენტმა მოგვაწოდა შემდეგი დოკუმენტაცია: საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 11 მაისის ბრძანება #326 შპს ევროპული სკოლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალური ლიცენზიის გაცემის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, მენეჯმენტისგან მიღებული ინფორმაციით საქართველოს განათლების სამინისტრომ ლიცენზია გასცა სკოლაზე, მაგრამ სამინისტროს მხრიდან სკოლაზე ლიცენზიის დოკუმენტის სახით გადაცემა არ მომხდარა. სკოლამ საქართველოს განათლების სამინისტროსგან 2007 წლის 19 ივნისს მიიღო ცნობა # 16-15/9678, რომელშიც აღნიშნულია, რომ სკოლამ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 18 ივნისის #435 ბრძანებით მიეცა ზოგადსაგანმანათებლო საქმიანობის გენერალური ლიცენზია #0731054. აღნიშნული ცნობა სამინისტროსგან ზეპირი ფორმით მიღებული ინფორმაციით წარმოადგენს ლიცენზიის ექვივალენტურ დოკუმენტს.

2011 წელს სკოლამ გაიარა ავტორიზაცია და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება #296 თანახმად შპს ევროპულ სკოლას მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ხუთი წლის ვადით დაწყებითი, საბაზისო და საშუალო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით. (იხილეთ დანართი 2).

შპს ევროპულმა სკოლამ მოსწავლეთა პირველი ნაკადი მიიღო 2007-2008 სასწავლო წლისათვის.

პროცედურა 2

ჩვენ სკოლის ხელმძღვანელობისგან მიღებული ხელფასის დარიცხვის და გაცემის უწყისების, სალაროს გასავლის ორდერების და საბანკო ანგარიშებიდან ამონაწერების საფუძველზე 2007 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდზე შევამოწმეთ ყოველწლიურად გაცემული ხელფასების ოდენობა. მიღებული დოკუმენტაციის შესაბამისად დასტურდება რომ სკოლას აღნიშნულ პერიოდზე ყოველწლიურად შენარჩუნებული აქვს მინიმალური სახელფასო ფონდი 200,000 ლარი. (იხილეთ დანართი 3).

BDO

პროცედურა 3

სკოლის მენეჯმენტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის (სახელფასო უწყისების, შრომითი ხელშეკრულებების და თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანებების) საფუძველზე შევამოწმეთ თანამშრომელთა მინიმალური რაოდენობა 2007 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდზე. აღნიშნული დოკუმენტაციის შესაბამისად აღნიშნულ პერიოდში კომპანიას ყოველთვიურად დასაქმებული ჰყავდა სულ მცირე 80 ადამიანი.

თუ ჩვენ ჩავატარებდით დამატებით პროცედურებს, ან თუ ჩვენ ჩავატარებდით ფინანსური ანგარიშგების აუდიტს ან მიმოხილვას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შესაძლოა, ჩვენთვის ცნობილი გამხდარიყო სხვა ისეთი გარემოებების შესახებ, რაზეც აუცილებელი იქნებოდა თქვენი ინფორმირება.

ჩვენი ანგარიში წარმოდგენილია მხოლოდ და მხოლოდ პირველ აბზაცში განხილული მიზნებისათვის, შპს „ევროპული სკოლის“ და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინფორმირებისათვის და არ უნდა იყოს გამოყენებული სხვა დანიშნულებით, და არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი სხვა მხარეებისათვის. ჩვენი დასკვნა ეხება კომპანიის მიერ ზემოთ აღნიშნული საკონკურსო პირობების შესრულების დოკუმეტურ შემოწმებას და არ შეიძლება გავრცელდეს კომპანიის ნებისმიერი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

31 ოქტომბერი, 2014

თბილისი, საქართველო

დანართი 1

ზოგადი ინფორმაცია სკოლის შესახებ

შპს ,,ევროპული სკოლა" დაარსდა შპს ,,სწავლების ინოვაციური მეთოდების სკოლა-ლაბორატორია მზეს" ბაზაზე, 2007 წლის თებერვალში, საიდენტიფიკაციო კოდით 205172917 რეგისტრირებულია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და აწარმოებს თავის ბიზნესს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

,,ევროპული სკოლა" ახორციელებს მხოლოდ საგანმანათლებლო საქმიანობას, სადაც ფუნქციონირებს 3 საგანმანათლებლო სექტორი:

- ქართული სექტორი 12 კლასის ჩათვლით;
- 2009 წლის 9 დეკემბერს "ევროპულმა სკოლამ" საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამის ავტორიზაცია მოიპოვა. საერთაშორისო ბაკალავრიატის მსოფლიო სკოლა (IB World School) მსოფლიოში უკვე აპრობირებული მოდელია. ინგლისურენოვანი საერთაშორისო სექტორი ანუ მსოფლიო ბაკალავრიატის საქართველოს ფილიალი IBO 1-დან 12 კლასის ჩათვლით;
- ამერიკული განათლების დეპარტამენტი (AED-American Education Department) და ამერიკული სკოლა (AHS-American High School).

,,ევროპულ სკოლაში" ასევე ფუნქციონირებს AP (Advanced Placement) გაკვეთილები და გამოცდებისათვის მზადება მე-10 კლასიდან და SAT მოსამზადებელი კურსები და სკოლამდელი აღზრდის ცენტრი 3-5 წლის ბავშვთა ასაკისათვის.

სკოლის იურიდიული მისამართია: ალ. ყაზბეგის გამზ. #34გ, თბილისი, საქართველო.

დანართი 2

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტორს 2007 წლის 19 ივნისის ცნობა გენერალური ლიცენზიის გაცემის შესახებ

საქართველო

განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

№ 16-15/9678

19 06 2007წ.

ცნობა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 18 ივნისის №435 ბრძანებით შპს „ევროპულ სკოლას" მიეცა ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალური ლიცენზია №0731054. "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შპს „ევროპულ სკოლას" უფლება აქვს, აღნიშნული ბრძანების საფუძველზე, სალიცენზიო მოწმობის მიღებამდე განახორციელოს ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სალიცენზიო მოწმობის ფორმის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცების შემდეგ, გაიცემა შესაბამისი სალიცენზიო მოწმობა.

პატივისცემით

ლიცენზირების
სამსახურის უფროსი

ნ. წერ—

ნინო წერეთელი

თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის ქ. 52. ტელეფონი: 959912. ფაქსი: 953213 955106
www.mes.gov.ge

დანართი 2 (გაგრძელება)

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება შპს „ევროპული სკოლის" ავტორიზაციის შესახებ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №296

2011 წ. "20" 09

ქ. თბილისი

შპს - ევროპული სკოლის ავტორიზაციის შესახებ

შპს - ევროპული სკოლის მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 20 სექტემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეჯამებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად.

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - ევროპულ სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 205172917) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით.

2. მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 20 სექტემბრის №23 სხდომის ოქმის მე-6 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
[illegible] ხალვაშიძე

მდივანი
[illegible] სიმონია

დანართი 3

დოკუმენტალურად შემოწმებული წლიური სახელფასო ფონდი 2007 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდზე:

პერიოდი	წლიური გაცემული სახელფასო ფონდი (ლარი)
2007 წელი	239,882
2008 წელი	764,249
2009 წელი	696,027
2010 წელი	1,395,772
2011 წელი	1,702,339
2012 წელი	1,917,333
2013 წელი	2,264,789
2014 წლის 9 თვე	1,897,310

ევროპული სკოლა
EUROPEAN SCHOOL

თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №34გ.
ტელ: 2394494, 2395964;
2395417.

34g, Al. Kazbegi ave. Tbilisi.
Tel.: +995 32 2394494, 2395964.
+995 32 2395417.
E-mail: info@europeanschool.ge

№ 141 03 11 2014 წ.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
იჯარითული და პრივატიზების სახელშეკრულებო
ვალდებულებათა მონიტორინგის სამსახურის
უფროსს, ბატონ დ. შახიძეს

ბატონო დიმიტრი,

თქვენი 2014 წლის 29 სექტემბრის №4/36111 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შპს „ევროპული სკოლა" დაარსებიდან დღემდე მუდმივად ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას, რის დასადასტურებლადაც, თქვენი მოთხოვნისამებრ, გარიგების ხელშეკრულება დადებული აუდიტორულ კომპანიასთან „ბიდიო (BDO)", რათა შეესრულებინა შეთანხმებული პროცედურები. 2006 წლის 4 დეკემბრიდან 2014 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდში სკოლის კომპანიის მიერ უწყვეტად საგანმანათლებლო საქმიანობის დასადასტურებლად.

გიგზავნით კომპანია „ბიდიოს (BDO)" მიერ ა.წ. 3 ნოემბერს წარმოდგენილ ანგარიშს შპს „ევროპული სკოლის" ზემოთ ხსენებულ პერიოდში საქმიანობის შესახებ (ანგარიში იხილეთ დანართის სახით).

პატივისცემით,

შპს „ევროპული სკოლის"
დირექტორი: ნ. [signature] ნანა მიხაძე

სსიპ სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო
ჩავიბარე
«4» ნოემბერი 2014 წ.